მესამე შეხვედრა მესამე გამარჯვება

27 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის ”დინამოს” სტადიონმა დიდძალი ხალხი მოიზიდა.

6 საათია. მსაჯი სოშენკო იძლევა ნიშანს. მოედანზე გამოდიან მინსკისა და თბილისის ”დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

იწყება თამაში. ”მოწიააღმდეგენი” ფრთხილად სინჯავენ ერთმანეთს. ბურთი მოედნის ცენტრში ტრიალებს. მე-5 წუთზე ინიციატივა თბილისელთა ხელშია. გარღვევაზე გადასული პანიუკოვი მარცხენა ფრთიდან მაგრად ურტყამს კარში, მაგრამ ”მკვდარ” ბურთს მეკარე სტაცენკო ოსტატურად იღებს. მასპინძელთა შეტევები არ ცხრება. მე-18 წუთზე ანთაძე კარგად იყენებს მოწოდებულ ბურთს და კუთხური დარტყმით ხსნის ანგარიშს. ორი წუთის შემდეგ თბილისელები სარგებლობენ მინსკელთა კართან შექმნილ დაბნეულობით, აგრეთვე მეკარე სტაცენკოს შეცდომით და გააქვთ მეორე ბურთი.

თბილისელთა იერიშები არც თამაშის მეორე ნახევარში შენელებულა.

”მოწინააღმდეგე” უტაქტიკოდ თამაშობს. მას მღელვარება ეტყობა. თბილისელებმა კარგად გამოიყენეს სტუმრების სუსტი თამაში და მეორე ტაიმის ბოლომდე ანგარიში სამი ბურთით გაადიდეს.

შეხვედრა დამთავრდა თბილისის ”დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გამარჯვებით, ანგარიშით 5:0.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 27.05.45